



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

(ო ქ მ ო) №9

ქ. ბათუმი

2019 წლის 14 ივნისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დემეტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
თემურ კახიძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;

ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარე;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
ანზორ დევაძე	საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
დავით მახარაძე	საკრებულოს წევრი.
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

ქ. ბათუმში მცხოვრები მოქალაქეები: ირაკლი ჯანყარაშვილი, ვალერიან ნებუნ-
შვილი; ზაალ ლუხუტაშვილი და ფუად კამეევი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატი - გ. დეკანაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვა-
ლისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: საკრე-
ბულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსი
- ირაკლი თავართქილაძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეცი-
ალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთ-
ობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეცი-
ალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო
რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:**

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის
ადგილმონაცვლის – გელა დეკანაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ქალაქ
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თემურ კახიძე)

2. „საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ“ ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის N30 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების
შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის
№73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

4. „ქალაქ ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის სკვერის სტატუსის და მასზე
„მეზღვაურთა სკვერი“-ს სახელწოდების მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიცი-
პალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 18 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა მიულოცა დამსწრე-საზოგადოებას ბათუმის ევროპის მზარდი ტურისტული მიმართულების ტიტულის მოპოვება, რომელიც ძალიან სასიხარულოა და პასუხისმგებლობაა თითოეული ჩვენგანისთვის. ასევე აღნიშნა, რომ ზაფხულის პერიოდისთვის ქალაქში მიმდინარე პროცესებზე მერიის ყველა სამსახურს სთხოვა კონტროლის გაძლიერება, შესრულება იმ პროგრამებისა და მოთხოვნების, რომელიც გაწერილია ბიუჯეტით, სამარშრუტო მიკროავტობუსებში კონდიციონერების თემის მოწესრიგება, რადგან ტენდერის პირობების მიუხედავად, 80%-ში ჩართული არ არის, რაც შემაწუხებელია მოსახლეობისათვის. გამომდინარე აქედან ეს საკითხი ითხოვს გაკონტროლებას. ასევე პროგრამით გათვალისწინებულია ქუჩების მორწყვა, დღეში ორჯერ, რომელიც არ სრულდება. მოქალაქეთა გააქტიურების საკითხს რაც შეეხება, მოწვეულ იქნას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეები და მათი ჩართულობით ერთობლივად გააქტიურდება მუშაობა.

საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე უერთდება ნ. ძიძიგურს და აღნიშნა, რომ არა მარტო კონდიციონერები მიკროავტობუსებში, არამედ მათი გადასახადები საკრებულოს განკარგულებით 5 ლარიდან გაიზარდა 50 ლარით და შპს-ები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამარშრუტო ტაქსების გადაადგილებას, მძღოლები იხდიან 110 ლარს, რასაც უკმაყოფილებას იწვევს მძღოლებთან მიმართებაში. რაც შეეხება სამართლებრივ აქტს, მიზანშეწონილია შეტანილ იქნას ცვლილება, რომ შპს-ებმა არ უნდა მიიღოს აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ ფრაქცია „ბათუმის“ სახელით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადმოტანასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭო უნდა იყოს ქალაქის ცენტრში, რადგან ქალაქიდან 25 კმ-ითაა დაშორებული. მოსახლეობისთვის, მთავრობის კომუნიკაციისთვის, მნიშვნელოვანია მისი გადმოტანა ქალაქ ბათუმში.

საკრებულოს წევრი ა. მამულაძე ეთანხმება რ. თავართქილაძეს, რადგან აჭარის მაცხოვრებელთა 80%-მა არ იცის, უმაღლესი საბჭოს მდებარეობა. ასევე აღნიშნა, ტურისტული სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარეობს ცენტრალური ადგილების ინფრასტრუქტურული მოწესრიგება, კერძოდ: ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, გორგილაძის ქუჩის ბოლო ნაწილი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ადგილები, სამუშაოები შეჩერებულია. შეფერხებულია ცენტრა-

ძლიერ ქუჩებზე საავტომობილო მოძრაობა, თუმცა სამუშაოები, ნაწილში შეჩერებულია, ნაწილში კი ნელი ტემპით მიმდინარეობს. ასევე ერას მოედანზე ძველი ისტორიული შენობა ნაგავსაყრელადაა ქცეული, რომელიც სამარცხვინოა.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ დღეს ისეთი საკითხები წამოიჭრა, რომლებზეც ყურადღება მისაქცევია, თუმცა გვერდით ოთახში ზის ქალაქის მერი და მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები, თუმცა ისინი არ შემოდიან საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის – გელა დეკანაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თემურ კახიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 06 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი კორესპოდენცია, რომლითაც წარმოდგენილია განკარგულება: „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ“ თანდართული დოკუმენტაციით. შესაბამისად, განსახილველად წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის - გელა დეკანაძის უფლებამოსილების ცნობა.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

საკრებულოს წევრი გ. დეკანაძე უფლებამოსილების ცნობის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხების განხილვაში და კენჭისყრის პროცესში მიიღებს მონაწილეობას.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

2. „საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმო-მადგენლის დანიშვნის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სა-კრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილება გამომდინარეობს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში განხორციელებული საკადრო ცვლილებით, ვინაიდან შეიცვალა აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი, რომლის პირადი მონაცემები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი) მითითებული იყო განკარგულებაში, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიზანშეწონილია შეტანილ იქნას ცვლილება აღნიშნულ განკარგულებაში, საკრებულოს წარმოდგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილებით განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტი სადაც აღნიშნულია სასამართლოში საკრებულოს მიერ დანიშნული წარმომადგენლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი შეიცვლება და აღინიშნება მხოლოდ თანამდებობის ზოგადი დასახელება, რაც გამორიცხავს მომავალში ხშირად ცვლილებების შეტანას განკარგულებაში.

ასევე სასამართლოში წარმომადგენლობასთან დაკავშირებით დოკუმენტის სახით შემდგომში წარდგენილ იქნება რწმუნებულება.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე განკარგულების პროექტის მიღება გამომდინარეობს იქედან, რომ ომარ მახარაძე დღეის მდგომარეობით არის საკრებულოს მუდმივმოქმედ ერთი კომისიის შემადგენლობაში, რადგანაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ იძლევა შესაძლებლობას საკრებულოს წევრი იმყოფებოდეს არაუმეტეს ორ კომისიაში. გამომდინარე აქედან საკრებულოს წევრის ომარ მახარაძის სურვილია შევიდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობაში კომისიის წევრად.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა: 2(ნ. დუმბაძე, გ. დეკანაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

4. „ქალაქ ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის სკვერის სტატუსის და მასზე „მეზღვაურთა სკვერი“-ს სახელწოდების მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა
და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე -
ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №64 დადგენილების შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ №05.21.21.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისათვის სკვერის სტატუსი და მასზე მეზღვაურის სკვერის სახელწოდების მინიჭება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე

